



2024

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	10
4. ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და შესწორებების მიღება:	19
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	20
6. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	21
7. შემოსავალი	21
8. რეალიზაციის თვითღირებულება	22
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	22
10. მიწოდების ხარჯები	22
11. წმინდა მოგება/(ზარალი) საკუთარ სხვაობიდან	23
12. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	23
13. მოგების გადასახადი	23
14. ძირითადი საშუალებები	24
15. ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში	24
16. მარაგები	25
17. გადახდილი ავანსები	25
18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
19. წმინდა საგადასახადო აქტივი	26
20. ფული და ფულის ეკვივალენტები	26
21. საწესდებო კაპიტალი	26
22. საკონტრაქტო ვალდებულება	26
23. სესხები	26
24. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
25. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები	27
26. ფინანსური რისკის მართვა	27
27. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	31
28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	32
კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება	32

შპს გუმბათი ჯგუფი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „გუმბათი ჯგუფი“-ს („საწარმო“) და მისი შვილობილი საწარმოს (ერთად „შემდგომში - ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე ჯგუფის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 19 ნოემბერს.

გიორგი ბალაძე

დირექტორი

2025 წლის 19 ნოემბერი

საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გუმბათი ჯგუფის მფლობელსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „გუმბათი ჯგუფი“-ს (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფმა არ ჩაატარა მასალა ნედლეულის ინვენტარიზაცია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ამავე თარიღისათვის შეადგენდა 10,266,355 ლარსა და 10,993,912 ლარს, ჩვენ ვერც ალტერნატიული საშუალებებით შევძელით რწმუნების მიღება ზემოთ ხსენებული მარაგების რაოდენობის შესახებ ამავე თარიღების მდგომარეობით. ვინაიდან მარაგების ნაშთი ფინანსური შედეგების განსასაზღვრის მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2024 და 2023 დასრულები წლების ფინანსური მდგომარეობისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებებში კორექტირების შეტანა.

2020 წლის 30 დეკემბერს ჯგუფმა შეიძინა შპს „EVENTUS“-ის 88% წილი. 2020 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა შპს „EVENTUS“-ის წმინდა აქტივების ღირებულების შეფასება, შესაბამისად ჩვენ ვერ შევძელით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოქმნილი გუდვილის ღირებულების და შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულების შემოწმება. ასევე ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების კორექტირება.

სხვა ინფორმაცია - ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედნილი და მარეგულირებელი ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით, არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები ზედამხედველობენ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და აუდიტის პროცესში პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს

აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჯგუფის 2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

კახაბერ თეთრუაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-558216)

შპს "ალგი აუდიტი"-ს სახელით

თბილისი, საქართველო

19 ნოემბერი 2025



შპს გუმბათი ჯგუფი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	7	41,239,118	27,285,209
რეალიზაციის თვითღირებულება	8	(32,392,519)	(20,116,929)
საერთო მოგება		8,846,599	7,168,280
მიწოდების ხარჯები	10	(244,298)	(288,112)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(2,626,053)	(5,208,305)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუთროს სხვაობიდან	11	(359,959)	(410,569)
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	23	(884,753)	(434,334)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	12	2,367,589	(25,317)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადებამდე		7,099,125	801,643
მოგების გადასახადის ხარჯი	13	(197,032)	(248,226)
პერიოდის მოგება/(ზარალი)		6,902,093	553,417
სხვა სრული შემოსავალი /(ხარჯი)		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		6,902,093	553,417
პერიოდის მოგება/(ზარალი) განეკუთვნება:			
საწარმოს მფლობელებს		6,941,652	554,797
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		(39,559)	(1,380)
პერიოდის მოგება/(ზარალი)		6,902,093	553,417

დადასტურებული და ხელმოწერილია 2025 წლის 19 ნოემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - გიორგი ბალაძე

შენიშვნები 9-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გუმბათი ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023*	31 დეკემბერი 2022*
ძირითადი საშუალებები	14	8,162,543	8,292,074	5,586,565
გუდვილი	6	3,233,340	3,233,340	3,233,340
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში	15	5,337,900	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,733,783	11,525,414	8,819,905
მარაგები	16	10,266,355	10,993,912	9,636,694
საგადასახადო აქტივი, წმინდა	19	759,114	380,167	680,733
გაცემული სესხები		2,674,120	154,000	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	5,934,746	1,407,242	2,462,575
გადახდილი ავანსები	17	6,159,633	2,875,936	1,191,614
ფული და ფულადი ეკვივალენტები	20	91,810	283,973	393,864
სულ მიმდინარე აქტივები		25,885,778	16,095,230	14,365,480
სულ აქტივები		42,619,561	27,620,644	23,185,385
საწესდებო კაპიტალი	21	150,000	916,373	540,261
გაუნაწილებელი მოგება		14,973,775	9,138,208	9,988,472
არამაკონტროლებელი წილი		(11,183)	1,138,376	1,139,756
სულ კაპიტალი		15,112,592	11,192,957	11,668,489
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	23	9,053,798	2,241,638	5,271,376
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,053,798	2,241,638	5,271,376
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები'	23	694,428	1,447,570	490,377
საიჯარო ვალდებულება		41,477	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24	2,419,426	1,943,446	1,286,971
საკონტრაქტო ვალდებულება	22	15,297,840	10,795,033	4,468,172
სულ მიმდინარე ვალდებულებები		18,453,171	14,186,049	6,245,520
სულ ვალდებულებები		27,506,969	16,427,687	11,516,896
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		42,619,561	27,620,644	23,185,385

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დადასტურებული და ხელმოწერილია 2025 წლის 19 ნოემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - გიორგი ბალაძე

შენიშვნები 9-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გუმბათი ჯგუფი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2023	540,261	9,988,472	1,139,756	11,668,489
კაპიტალის ზრდა	1,028,837	-	-	1,028,837
კაპიტალის შემცირება	(652,725)	-	-	(652,725)
დივიდენდის გადახდა	-	(1,405,061)	-	(1,405,061)
პერიოდის მოგება (ზარალი)	-	554,797	(1,380)	553,417
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	916,373	9,138,208	1,138,376	11,192,957
კაპიტალის ზრდა	193,500	-	-	193,500
კაპიტალის შემცირება	(959,873)	-	(1,110,000)	(2,069,873)
დივიდენდის გადახდა	-	(1,106,085)	-	(1,106,085)
პერიოდის მოგება (ზარალი)	-	6,941,652	(39,559)	6,902,093
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	150,000	14,973,775	(11,183)	15,112,592

დადასტურებული და ხელმოწერილია 2025 წლის 19 ნოემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - გიორგი ბალაძე

შენიშვნები 9-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გუმბათი ჯგუფი

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		48,681,529	36,157,028
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(38,026,009)	(29,345,313)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(3,054,411)	(1,860,403)
ადმინისტრაციული და სხვა გაწეული ხარჯები		(99,647)	(28,959)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		7,501,462	4,922,353
გადახდილი პროცენტი		(885,667)	(443,588)
მიღებული პროცენტი		918	9,254
გადახდილი გადასახადები		(1,533,712)	(1,120,677)
საოპერაციო საქმიანობაში გახარჯული წმინდა ფულადი სახსრები		5,083,001	3,367,342
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
სესხის გაცემა		(2,557,209)	(94,000)
გაცემული სესხის დაბრუნება		39,993	-
ინვესტიციები ერთობლივ/ასოცირებულ საწარმოში	15	(5,337,900)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(7,855,116)	(94,000)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხები არაფინანსური ინსტიტუტებისგან		50,900	620,595
მიღებული სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან		11,068,000	-
არაფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების გადახდა		(50,000)	-
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების გადახდა		(5,526,261)	(3,002,937)
შენატანი საწესდებო კაპიტალში	21	193,500	1,028,837
გადახდილი დივიდენდები		(1,050,781)	(1,334,808)
საწესდებო კაპიტალის შემცირება არამაკონტროლებელი მფლობელების მიერ		(1,110,000)	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	21	(959,873)	(652,725)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		2,615,485	(3,341,038)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების (შემცირება)/ზრდა		(156,630)	(67,696)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	20	283,973	393,864
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		(35,533)	(42,195)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		91,810	283,973

დადასტურებული და ხელმოწერილია 2025 წლის 19 ნოემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - გიორგი ბალაძე

შენიშვნები 9-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

შპს გუმბათი ჯგუფი (ს/კ 245567140) (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში 2006 წლის 19 ივლისს. ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა #129.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ბინების მშენებლობას, საინჟინრო, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია თამაზ ბალაძე.

ყოველდღიური აქტივობები ჯგუფში კონტროლდება დირექტორის მიერ. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დირექტორია ლაშა ბალაძე.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებისათვის კომპანია ფლობს შპს Evenetus-ისა და შპს გუმბათი ბიზნეს არეას წილებს, 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებისათვის. კომპანიამ დააფუძნა შპს გუმბათი ბიზნეს არეა 2023 წლის 16 ნოემბერს და საწესდებო კაპიტალში შეიტანა ძირითადი საშუალებებიდან შენობები თვითღირებულებით 2,872,840 ლარი, დამატებით 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა 547,285 ლარის შონობების და 20,500 ლარის ფულადი სახსრების შეტანა საწესდებო კაპიტალში, კომპანიამ წლის განმავლობაში განახორციელა 411,800 ლარით საწესდებო კაპიტალის შემცირება და არაფულადი ფორმით 39,993 ლარით, სულ ამ აქტივების წმ ღირებულებამ შეადგინა 2,988,833 ლარი. კომპანიამ შეისყიდა შპს Eventus-ის 88% წილი 3,248,340 ლარად, 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა Evenetus-ში 520,578 ლარის ღირებულების უძრავი ქონებისა და 56,670 ლარის ფულადი სახსრების საწესდებო კაპიტალში შეტანა. კომპანიამ წლის განმავლობაში განახორციელა 411,800 ლარით საწესდებო კაპიტალის შემცირება შვილობილ კომპანიებში, შემცირება განხორციელდა ფულადი ფორმით, რომლის შემდეგაც ინვესტიციებმა შეადგინა .

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

ჯგუფის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

გახორციელდა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და ჯგუფის მაჩვენებლების გათვალისწინებით ხელმძღვანელობა დარწმუნებულია ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკუროსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2024	2023
1 USD/GEL	2.7208	2.6279
1 EUR/GEL	2.9440	2.8416

შეფასების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა თვითღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად.

გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, ჯგუფი რეალური ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს ჯგუფი ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც ჯგუფი ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია ჯგუფისთვის. ჯგუფი აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქტზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოძინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზარდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა) სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად ჯგუფი არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ჯგუფს შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მისი ისტორიული საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებულია მის დებიტორებზე და ეკონომიკური გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	მიმდინარე	31-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	>360
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	10%	25%	50%	100%

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწრიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწრილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშებში მისი მოხდენისთანავე. აქტივის გამოყენების უფლება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებში წარმოდგენილია ძირითად საშუალებებთან ერთად.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

ცვეთა გამოითვლება წრფივი ცვეთის მეთოდით. ცვეთის დათვლისთვის გამოყენებული იყო შემდეგი განაკვეთები:

	ცვეთის %
მანქანა-დანადგარები	15-20 %
სატრანსპორტო საშუალებები	15-20 %
შენობები	8 %
ოფისის აღჭურვილობა	20 %

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულად. ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშებში.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

მიღებული ავანსები

თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან საწარმოს უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, საწარმომ ხელშეკრულება უნდა წარადგინოს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ მოვლენებიდან). სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღე ზოგადად ამოღებადია გამომსვლელი დღე-ს მიმართ დღე-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღე-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღე-ს ჩათვლით.

მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგებიდან გადასახადი ასახულია არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან რეზიდენტი იურიდიულ პირებზე მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა,

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. მმართველობითი გუნდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა აფასებს ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება მმართველი გუნდის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების მმართველი გუნდის საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები, თუ ასეთი არსებობს, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. ჯგუფი მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს აღიარებს ფასს-15-ის მიხედვით, თუ აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს:

- ▶ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება (წერილობით, სიტყვიერად ან სხვა მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად) და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების ვალდებულება აიღეს;
- ▶ ჯგუფს შეუძლია გადასცეს საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებული თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიკაცია;
- ▶ ჯგუფს შეუძლია გადასცემი საქონლის ან მომსახურებისთვის გადახდის პირობების იდენტიფიკაცია;

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- ▶ ხელშეკრულებას კომერციული შინაარსი აქვს (ე.ი. მოსალოდნელია, რომ მოცემული ხელშეკრულების შედეგად შეიცვლება ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადები, სიდიდე და მასთან დაკავშირებული რისკები) და ;
- ▶ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს მომხმარებლისათვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია ჯგუფის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი აღიარდება როდესაც ან როგორც კი შესრულდება კონტრაქტით განპირობებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლის კონტროლის ქვეშ გადაცემა. კონტროლის გადაცემა ხდება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ან დროის გარკვეულ მომენტში.

შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან

სამშენებლო ხელშეკრულებები მოიცავს მხოლოდ ერთ შესასრულებელ ვალდებულებას. სამშენებლო სამუშაოებში შესასრულებელი ვალდებულება მოიცავს სამშენებლო ხელშეკრულებას ან გასაწევ მომსახურებას.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

ჯგუფის პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი საქმიანობებისთვის მოცემულია ქვემოთ:

ამონაგები სამშენებლო საქმიანობიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. ვალდებულების შესრულების ხარისხის შეფასებისას ჯგუფი იყენებს შედეგების მეთოდს. აქედან გამომდინარე, ამ სახის შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც შედეგების შესაბამისად გამოითვლება ვალდებულების შესრულების ხარისხი და დაანგარიშდება შესაბამისი პროექტის ეტაპების დასრულება.

საოპერაციო იჯარა. როდესაც ჯგუფი წარმოადგენს მეიჯარეს იჯარაში რომელშიც არ გადაიცემა იჯარის საგნის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი (ე. ი. საოპერაციო იჯარა), საიჯარო გადახდები საოპერაციო იჯარიდან აღიარდება სხვა შემოსავლად წრფივი მეთოდის საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწვევითანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ჯგუფი დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან. ჯგუფს არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

ერთობლივი საქმიანობა: ერთობლივი ოპერაცია

ერთობლივი საქმიანობა გულისხმობს ორი ან მეტი მონაწილე მხარის ერთობლივად კონტროლირებადი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს იმ პირობებს, რომლის შესაბამისადაც მხარეები მონაწილეობენ შეთანხმებულ საქმიანობაში. ერთობლივი კონტროლი ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივი კონტროლის უფლებაა ამა თუ იმ საქმიანობაზე, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც რელევანტურ საქმიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა ერთსულოვან თანხმობას.

ერთობლივ საქმიანობას ჯგუფი აღრიცხავს როგორც ერთობლივ ოპერაციას, რომელიც ისეთი ერთობლივი საქმიანობაა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და პასუხისმგებლობა ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

ჯგუფი ერთობლივ ოპერაციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით აღიარებს:

- ▶ თავის აქტივებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივ აქტივებში;
- ▶ თავის ვალდებულებებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად აღიარებულ ვალდებულებებში;
- ▶ თავის ამონაგებს, ან წილს ერთობლივ ამონაგებში;
- ▶ თავის ხარჯებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად გაწეულ ხარჯებში.

ერთობლივ ოპერაციაში მონაწილეობასთან დაკავშირებული აქტივები, ვალდებულებები, ამონაგები და ხარჯები აღიარდება ამ კონკრეტული აქტივების, ვალდებულებების, ამონაგების ხარჯებისთვის განკუთვნილი შესაფერისი სტანდარტით.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

4. ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და შესწორებების მიღება:

2023 წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები (მოიცავს 2020 წლის ივნისის და 2021 წლის დეკემბრის ცვლილებებსაც ფასს 17-თან დაკავშირებით;
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ფასს პრაქტიკის განცხადება არსებითობასთან დაკავშირებული მსჯელობა და შენიშვნების გამჟღავნება;
- ბასს 12 - მოგებიდან გადასახადები (ცვლილებები) - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციის შედეგად; საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - პილარ ორის მოდელის წესები;
- ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (ცვლილებები).

მიმდინარე წელს ჯგუფმა გამოიყენა საბჭოს მიერ გაცემული ფასს სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში ზემოთ მოყვანილი ცვლილებები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. მათ მიღებას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ინფორმაციის გამჟღავნებაზე ან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე.

ჯგუფს ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 - ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია¹;
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (ცვლილებები) - ვალდებულებების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებებად კლასიფიკაცია²;
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (ცვლილებები) - გრძელვადიანი ვალდებულებები შეთანხმებებით³;
- ბასს 7 და ფასს 7 (ცვლილებები) - მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები²;
- ფასს 16 (ცვლილებები) - საიჯარო ვალდებულება გაყიდვაში და უკუიჯარის დროს²;

¹. ძალაშია 2023 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

². ძალაშია 2024 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

³. ძალაშია 2025 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

⁴. სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი: ჯგუფი რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტამდე მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელ დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა: ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული დამველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები: ჯგუფი შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას რეალური ღირებულებით. ჯგუფი განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არა დაკავშირებულ მხარეებთან.

შემოსავლის აღიარება - შესასრულებელი ვალდებულების შესრულება: საანგარიშგებო პერიოდში ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან აღიარდება როდესაც ან როგორც კი შესრულდება ხელშეკრულებით განპირობებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლის კონტროლის ქვეშ გადაცემა. კონტროლის გადაცემა ხდება დროის განმავლობაში ან დროის გარკვეულ მომენტში. ჯგუფის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს სამშენებლო მომსახურების ხელშეკრულებიდან მიღებული ამონაგები, რომელზეც შესასრულებელი ვალდებულების შესრულება ხდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში. თითოეული სამშენებლო მომსახურების ხელშეკრულებისთვის ჯგუფი საკონტრაქტო ვალდებულების შესრულების შეფასებას ახდენს შედეგების მეთოდის მიხედვით, რომლის დაანგარიშების სიზუსტის დაცვა მნიშვნელოვანია შემოსავლების დაანგარიშების სისწორისთვის.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

6. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

ჯგუფის ხელმძღვანელობამ მოახდინა შეცდომის იდენტიფიცირება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ ჯგუფს არასწორად ჰქონდა წარდგენილი კაპიტალის სტრუქტურაში არამაკონტროლებელი წილი, რომელიც უკავშირდებოდა შვილობილი კომპანიის შესყიდვის მომენტში აქტივების წმ ღირებულებას, კერძოდ კი ძირითადი საშუალებები რომლის ღირებულება შეადგენდა 866,723 ლარს, შესაბამისად აღნიშნული თანხით იყო შვილობილი საწარმოს აქტივების წმინდა ღირებულება შეფასებული, და ამავე თანხით იყო შემცირებული გუდვილი შეძენის მომენტში გაანგარიშებისას, მაშინ როდესაც მშობელი კომპანიის მიერ შესყიდვის მომენტში შვილობილი საწარმოს გააჩნდა ამავე თანხის ვალდებულება რომელიც უკავშირდებოდა ამ აქტივის შესყიდვას, აღნიშნული თანხა შეტანილ იქნა საწესდებო კაპიტალში არამაკონტროლებელი წილის მფლობელის მიერ, აღნიშნულის შესწორებით გაიზარდა გუდვილი და არამაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომის გასწორების ეფექტი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით :

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31 დეკემბერი 2023	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
გუდვილი	2,366,617	866,723	3,233,340
არამაკონტროლებელი წილი	271,653	866,723	1,138,376

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31 დეკემბერი 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
გუდვილი	2,366,617	866,723	3,233,340
არამაკონტროლებელი წილი	273,033	866,723	1,139,756

7. შემოსავალი

შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
შემოსავალი მშენებლობიდან	40,207,027	26,858,607
შემოსავალი იჯარიდან	1,032,091	413,415
შემოსავალი გაზიფიცირებიდან	-	13,187
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	41,239,118	27,285,209

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

8. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
მასალის ხარჯი	21,181,120	11,443,823
შრომის ანაზღაურება	2,023,837	1,292,712
მომსახურების ხარჯი	8,413,557	6,967,341
ცვეთა და ამორტიზაცია	774,005	413,053
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	32,392,519	20,116,929

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	1,379,081	1,152,925
გაუფასურების რეზერვის ხარჯო/(აღდგენა), წმინდა	29,242	1,497,021
კომუნალური ხარჯი	269,417	175,814
უძრავი ქონების რემონტის ხარჯი	219,292	180,817
იჯარის ხარჯი	133,194	-
პროფესიული მომსახურების ხარჯი	140,303	-
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	25,380	1,670,263
ცვეთა და ამორტიზაცია	99,123	276,689
ქონების გადასახადის ხარჯი	29,037	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	301,985	254,776
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,626,053	5,208,305

10. მიწოდების ხარჯები

მიწოდების ხარჯები მოიცავს რეკლამის დანახარჯებს, რომელიც 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერის დასრულებული წლებისთვის შეადგენს 244,298 ლარსა და 288,112 ლარს შესაბამისად.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

11. წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
წმ შემოსულობა (ზარალი) მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასებიდან	54,432	(65,315)
წმინდა შემოსულობა (ზარალი) სასესხო ვალდებულებების გადაფასებიდან	(427,599)	(303,060)
წმინდა შემოსულობა (ზარალი) გაცემული სესხების გადაფასებიდან	10,604	-
წმ შემოსულობა (ზარალი) ფული და ფულის ექვივალენტების გადაფასებიდან	2,604	(42,194)
სულ წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(359,959)	(410,569)

12. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
წმ შემოსულობა ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	2,404,095	-
სხვა შემოსულობა (ზარალი)	(36,506)	(25,317)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	2,367,589	(25,317)

13. მოგების გადასახადი

ჯგუფის მოგების გადასახადი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შეადგენს ნულ ლარს.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არა-რეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით იმ ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

14. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება								
1 იანვარი 2022	569,198	3,326,822	939,535	888,679	170,687	292,313	802,822	6,990,056
შეძენა	-	-	861,002	15,737	34,576	48,072	131,661	1,091,048
მზა პროდუქციიდან გადმოტანა	-	2,312,623	-	-	-	-	-	2,312,623
გასვლა	-	-	-	(15,797)	-	-	-	(15,797)
31 დეკემბერი 2023	569,198	5,639,445	1,800,537	888,619	205,263	340,385	934,483	10,377,930
შეძენა	-	493,814	149,956	79,503	80,165	57,077	10,520	871,035
მზა პროდუქციიდან გადმოტანა	-	319,214	12,379	14,518	-	3,725	-	349,836
გასვლა	-	(475,306)	-	(35,867)	-	-	-	(511,173)
31 დეკემბერი 2024	569,198	5,977,167	1,962,872	946,773	285,428	401,187	945,003	11,087,628
დაგროვილი ცვეთა								
1 იანვარი 2023	-	(331,409)	(248,739)	(195,048)	(69,384)	(151,105)	(407,806)	(1,403,491)
ცვეთის დარიცხვა	-	(184,004)	(169,034)	(149,897)	(37,837)	(60,027)	(88,943)	(689,742)
გაყიდულის ჩამოწერა	-	-	-	7,377	-	-	-	7,377
31 დეკემბერი 2023	-	(515,413)	(417,773)	(337,568)	(107,221)	(211,132)	(496,749)	(2,085,856)
ცვეთის დარიცხვა	-	(275,038)	(270,204)	(146,084)	(37,734)	(59,216)	(84,852)	(873,128)
გაყიდულის ჩამოწერა	-	24,756	-	9,143	-	-	-	33,899
31 დეკემბერი 2024	-	(765,695)	(687,977)	(474,509)	(144,955)	(270,348)	(581,601)	(2,925,085)
წმინა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2023	569,198	5,124,032	1,382,764	551,051	98,042	129,253	437,734	8,292,074
31 დეკემბერი 2024	569,198	5,211,472	1,274,895	472,264	140,473	130,839	363,402	8,162,543

15. ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში

ჯგუფმა 2024 წლის 4 ოქტომბერს განახორციელა შპს ფორტუნა სტიმენის (ს.კ. 245616221) 44.44% წილის შეძენა, წილის შესასყიდად გადახდილმა ანაზღაურებამ შეადგინა 5,337,900 ლარი. ჯგუფი იყენებს წილობრივ მეთოდს, რომლის თანახმადაც, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში, ან ზარალში აღიარდება ინვესტორის მოგებაში, ან ზარალში. ინვესტირებული საწარმოდან დივიდენდების ან სხვა სახის განაწილებული თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

16. მარაგები

მარაგები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საქონელი	9,401,621	9,566,994
მზა პროდუქცია	839,199	1,410,059
სხვა მარაგები	25,535	16,859
სულ მარაგები	10,266,355	10,993,912

17. გადახდილი ავანსები

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	6,397,522	3,113,825
გაუფასურების რეზერვი	(237,889)	(237,889)
სულ გადახდილი ავანსები	6,159,633	2,875,936

18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრი მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	9,352,599	4,795,853
გაუფასურების რეზერვი	(3,417,853)	(3,388,611)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,934,746	1,407,242

გაუფასურების რეზერვის ცვლილება წარმოდგება შემდეგნაირად:

	2024	2023
ნაშთი წლის დასაწყისში	(3,388,611)	(2,104,134)
მოთხოვნის გაუფასურების რეზერვის წმ. ცვლილება	(29,242)	(1,284,477)
ნაშთი წლის ბოლოს	(3,417,853)	(3,388,611)

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

19. წმინდა საგადასახადო აქტივი

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია წმინდა საგადასახადო აქტივი 759,114 ლარის ოდენობით, რომელიც ძირითადად შედგება დღგ-ს ჩასათვლეელი თანხებისგან. (2023 წლის 31 დეკემბერი 380,167 ლარი).

20. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს, რომელიც შეადგენს 91,810 ლარსა და 283,973 ლარს შესაბამისად ნაშთებს.

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია, როგორც არასარისკო.

21. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 150,000 ლარს და 916,373 ლარს წლების შესაბამისად. კომპანიის 100% წილის მფლობელია თამაზ ბალაძე.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 1,106,085 ლარის ოდენობით (2023 წელი 1,405,061 ლარი).

ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება საანგარიშგებო პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

22. საკონტრაქტო ვალდებულება

საკონტრაქტო ვალდებულება წარმოადგენს სამშენებლო კონტრაქტით გათვალისწინებულ წინასწარ ჩარიცხულ თანხებს, რომელიც შესრულებების მიხედვით იქვითება შესაბამისი სამშენებლო კონტრაქტის დასრულებისას. მიღებული ავანსები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 15,297,840 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი 10,795,033 ლარი)

23. სესხები

სესხები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები	8,825,078	2,835,714
არაფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები	923,148	853,494
სულ სესხები	9,748,226	3,689,208

2024 წელს კომპანიის ფინანსურმა ხარჯმა შეადგინა 884,753 ლარი (2023 წელს: 434,334 ლარი), რომელიც დაკავშირებული იყო სასესხო ვალდებულებებთან.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

24. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოიცავს იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ წარმოქმნილ სავაჭრო ვალდებულებებს, რომელიც 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,419,426 ლარისა და 1,943,446 ლარის შესაბამისად.

25. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა: საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც ჯგუფი საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და ჯგუფის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

26. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

25. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო რისკთან:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,934,746	1,407,242
გაცემული სესხები	2,674,120	154,000
ფული და ფულადი ეკვივალენტები	91,810	283,973
სულ საკრედიტო რისკთან დაკავშირებული ფინანსური აქტივები	8,700,676	1,845,215

საბაზრო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა-სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია. ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის დონეზე მართვით. ქვემოთ მოცემულია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

31 დეკემბერი 2024	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური დეფიციტი
აშშ დოლარი	2,650,755	(7,770,001)	(5,119,246)
სულ	2,650,755	(7,770,001)	(5,119,246)

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

25. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2023	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური დეფიციტი
ევრო	-	(382,787)	(382,787)
აშშ დოლარი	1,484,450	(3,587,435)	(2,102,984)
სულ	1,484,450	(3,970,221)	(2,485,771)

ლარის გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ თითოეული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გავლენა ექნებოდა მოგება/ზარალზე ქვემოთ მოცემული ღირებულებით:

	გავლენა მოგება-ზარალზე	
	2024	2023
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(511,925)	(210,298)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	511,925	210,298
ევროს 10%-ით გამყარება	-	(38,279)
ევროს 10%-ით გაუფასურება	-	38,279

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. ჯგუფი არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, რადგანაც კომპანიის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფიქსირებული განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. ჯგუფს აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე.

ხელმძღვანელობა აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ჯგუფის ვალდებულებები 2023 და 2022 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან, რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

25. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

31 დეკემბერი 2024	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	91,810	-	91,810
გაცემული სესხები	2,674,120	-	2,674,120
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,934,746	-	5,934,746
სულ ფინანსური აქტივები	8,700,676	-	8,700,676
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,459,419)	-	(2,459,419)
საიჯარო ვალდებულება	(41,476)		(41,476)
სესხები	(694,428)	(9,053,798)	(9,748,226)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(3,195,323)	(9,053,798)	(12,249,121)
წმინდა ლიკვიდურობის დეფიციენტი	5,505,353	(9,053,798)	(3,548,445)

31 დეკემბერი 2023	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	283,973	-	283,973
გაცემული სესხები	154,000	-	154,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,407,242	-	1,407,242
სულ ფინანსური აქტივები	1,845,215	-	1,845,215
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,943,446)	-	(1,943,446)
სესხები	(1,447,570)	(2,241,638)	(3,689,208)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(3,391,016)	(2,241,638)	(5,632,654)
წმინდა ლიკვიდურობის დეფიციენტი	(1,545,801)	(2,241,638)	(3,787,439)

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

27. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შედავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

31 დეკემბერი 2024:

ფინანსური ანგარიშგების არე	საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,787,431	4,787,431
გაცემული სესხები	2,674,120	2,674,120
გადახდილი ავანსები	463,825	463,825
საკონტრაქტო ვალდებულება	9,275,711	9,275,711
სესხები	923,148	923,148

31 დეკემბერი 2023:

ფინანსური ანგარიშგების არე	საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	976,596	976,596
გაცემული სესხები	24,000	24,000
გადახდილი ავანსები	8,390,820	8,390,820
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	406,472	406,472
სესხები	853,494	853,494

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

2024	საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ	სულ
შემოსავალი	20,469,664	20,469,664
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	219,292	219,292
რეალიზაციის თვითღირებულება	1,055,374	1,055,374
მიწოდების ხარჯები	213,809	213,809

2023	საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ	სულ
შემოსავალი	19,928,202	19,928,202
რეალიზაციის თვითღირებულება	1,807,829	1,807,829
მიწოდების ხარჯები	127,050	127,050

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2024	2023
ხელფასები და სხვა სარგებელი	383,529	417,738

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებლად დამტკიცების თარიღამდე ადგილი არ ჰქონია მოვლენებს, რომელიც საჭიროებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს „გუმბათი ჯგუფი“-ს
კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

შინაარსი

1. ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა	2
2. კორპორაციული მართვის ანგარიში	4
3. არაფინანსური ანგარიშგება	8

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები წარმოდგენილია ლარში)

1. ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა

სამშენებლო და დეველოპერული კომპანია „გუმბათი“ დაარსდა 1998 წელს. „გუმბათი“-ს თავდაპირველი საქმიანობა მოიცავდა რეკონსტრუქციულ და სარემონტო სამუშაოებს. რებრენდინგის შემდგომ „გუმბათმა“, უკვე „გუმბათი ჯგუფმა“, განავითარა მაღალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსების აქტიური მშენებლობა. ჯგუფის ბაზარზე წარმოდგენილია ინოვაციური ხედვით - ქმნის და აშენებს იდეებს, რომლებიც პირველია როგორც საქართველოში, ისე რეგიონში.

„გუმბათი ჯგუფს“ მიღებული აქვს IV კლასის მშენებლობის ნებართვა და ISO სერტიფიკატი (9001-2015) ხარისხის მენეჯმენტის მიმართულებით.

2005 წლიდან „გუმბათი ჯგუფი“ ჩაერთო უძრავი ქონების დეველოპმენტში. 2019 წლიდან კი დაწერა სასტუმროს ტიპის მომსახურება საკუთარ აპარტამენტებში. 2020 წელს ჯგუფმა დაიწყო საცხოვრებელი კომპლექსების კვალდაკვალ სასტუმროს ტიპის აპარტამენტების მშენებლობა. ჯგუფი მომხმარებელს სთავაზობს მაღალი კლასის აპარტამენტებს, როგორც დასრულებულ, ისე მშენებარე ობიექტებში, აპარტამენტების შემდგომი მართვის მიზნით.

სამშენებლო-დეველოპერი კომპანია „გუმბათი ჯგუფი“-ს თითოეული პროექტი არის ინოვაციური და გამორჩეული კომპეტენტური შესრულებითა და შთამბეჭდავი დიზაინით. ჯგუფი 1998 წლიდან მოღვაწეობს საქართველოს პირველად საბინაო ბაზარზე და ამ ხნის განმავლობაში მოახერხა მნიშვნელოვანი წარმატებისთვის მიეღწია, გახდა რა ერთ-ერთი ლიდერი და გარკვეულწილად პიონერი ზოგიერთი მიმართულებით. მაგალითად, გუმბათი ჯგუფი პირველი სამშენებლო ჯგუფია, რომელიც ბათუმის ბაზარზე გავიდა. მისი წვლილი აჭარის სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანია.

ჯგუფის საქმიანობის ნუსხა მხოლოდ სამშენებლო სამუშაოებით როდი შემოიფარგლება. გარდა ამისა, ჯგუფში ხდება სამშენებლო მასალების წარმოება და დიზაინის მომსახურების გაწევა.

კლიენტზე ორიენტაციის მაღალი დონე დასტურდება იმ ფაქტით, რომ ჯგუფი ბინის მესაკუთრეებს სთავაზობს ინდივიდუალურ პირობებს, ასევე უძრავი ქონების შეძენას გამარტივებული წესით. აღნიშნული ასევე ეხება საქართველოს არარეზიდენტ პირებს, რომლებიც ხშირად გამოთქვამენ საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე ინვესტირების სურვილს.

სუბიექტის განვითარების გეგმები

სამშენებლო ინდუსტრია გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სექტორია, რომელიც დიდ როლს ასრულებს მსოფლიო ინფრასტრუქტურის განვითარებაში. საქართველოშიც მშენებლობა კვლავ რჩება ეკონომიკის ერთ-ერთ მსხვილ სექტორად.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2024 წელს მშენებლობის სექტორში ბრუნვის მოცულობამ 14 300 მლნ. ლარს გადააჭარბა და საქართველოს ეკონომიკის (მთლიანი შიდა პროდუქტის - მშპ) 8.4 % შეადგინა.

2024 წლის მონაცემები ნათლად ასახავს, რომ საქართველოს მშენებლობის სექტორი სწრაფი განვითარების ფაზაშია და მისი წვლილი ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებაში თანდათან იზრდება. თუმცა, ამ პროცესში მნიშვნელოვანია პოლიტრიკური სტაბილურობა, უცხოელი ინვესტორების კიდევ უფრო მეტი რაოდენობის დაინტერესება. ასევე, არა მხოლოდ რაოდენობრივი ზრდა, არამედ ხარისხისა და მდგრადობის პრინციპების დაცვა. შესაბამისად, ჯგუფი მაქსიმალურად ცდილობს გაითვალისწინოს სფეროში არსებული თანამედროვე ტენდენციები, რითაც უზრუნველყოფს ბაზარზე მოთხოვნილი პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნას. სამშენებლო სფეროში

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები წარმოდგენილია ლარში)

არსებული ტენდენციებიდან აღსანიშნავია მოთხოვნის ზრდა ისეთ პროდუქტზე, რომელშიც მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ტექნოლოგიური მიღწევები, როგორც ეკოლოგიური, ასევე ენერგოეფექტური მასალების გამოყენების მიმართულებით. ჯგუფი თანამშრომლობს აღნიშნული მიმართულებების მოწინავე კომპანიებთან და სპეციალისტებთან, რაც ხარისხიანი და მოთხოვნადი პროდუქტების შექმნის წინაპირობაა.

საქართველოში არსებულ პრიორიტეტულ სექტორებს შორის, კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასტუმროების ინდუსტრიასა და ტურიზმთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობას. ამასთან, საქართველოში ვიზიტორების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე, ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნა ტურისტულ ინფრასტრუქტურაზე. შესაბამისად, სასტუმროების ინდუსტრია იზრდება და ვითარდება დინამიურად. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჯგუფი აქტიურად ცდილობს სამშენებლო პროექტების განხორციელებას საქართველოს ტურისტულად აქტიურ - შავიზღვისპირეთის და მთიანი კურორტების რეგიონებში.

იმის გათვალისწინებით, რომ 2023 წლიდან ჯგუფი შეცვალა სტრატეგია და მნიშვნელოვანი რესურსი მიმართა სამშენებლო-სამონტაჟო-სარემონტო სამუშაოების განხორციელებისკენ, რაც განპირობებული იყო ჯგუფის მენეჯმენტის მაღალი პასუხისმგებლობით, რომელიც ცდილობს სრულყოფილად უპასუხოს ოცდამეერთე საუკუნეში სამშენებლო სფეროში არსებულ გამოწვევებს, კიდევ უფრო ინტენსიური გახდა სამუშაოები ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის კუთხით, რამაც უნდა უზრუნველყოს დამკვეთების მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების საქმიანობის შესახებ

საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით ჯგუფი არ ფლობს ფილიალებს, თუმცა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჯგუფი ცდილობს განავითაროს ინფრასტრუქტურული ქსელი რეგიონების მასშტაბით. პროექტების ეფექტურად მართვის მიზნით, ჩვენ ვცდილობთ სასაწყობო მეურნეობების და სპეც-ტექნიკის ბაზების ქსელის განვითარებას რეგიონების მიხედვით იმისათვის, რომ მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული დანახარჯების შემცირება და დროის ეკონომია. ტერიტორიულად განცალკევებული სტრუქტურული ერთეულების უფრო მეტი დამოუკიდებლობისა და ფუნქციურად დატვირთვის ხარჯზე, ჯგუფი გეგმავს ფილიალების შექმნას.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ჯგუფი აცნობიერებს, რომ ინოვაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან, მწარმოებლურობის ზრდასთან და რესურსების დაზოგვასთან, წარმოადგენს სასიცოცხლო ძალას ეკონომიკური ზრდისთვის. ეს ძალა, დამოკიდებულია იმ ცოდნის შექმნის, დაგროვების და გავრცელება/დანერგვის პროცესთან, რომლებიც ხშირად არიან მჭიდრო თანამშრომლობაში საჯარო თუ კერძო კვლევით დაწესებულებებთან (კვლევითი ცენტრები და უნივერსიტეტები). სწორედ ამიტომ, მოცემულ ეტაპზე, ჯგუფი უზრუნველყოფს დასაქმებული სპეციალისტებისათვის აღნიშნული დაწესებულებების მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებთან, ტექნოლოგიურ სიახლეებთან მუდმივ წვდომას, რაც, უახლოეს მომავალში, უნდა გახდეს, საკუთარი კვლევითი პოტენციალის განვითარების წინაპირობა. ვინაიდან, ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პროექტების მონიტორინგის, შეფასებისა და სამუშაოს ხარჯთაღრიცხვის საკითხებში, კვლევითი სამუშაოების წარმართვასაც სწორედ აღნიშნული მიმართულებებით ვგეგმავთ. ამისათვის, ჯგუფი საქმიანობის პროცესში ვცდილობთ აქტიურად დავნერგოთ ისეთი ტექნოლოგიური სიახლეები, როგორებიცაა: დრონები, ავტონომიური სამშენებლო ტექნიკა, დამატებითი და ვირტუალური რეალობის ხელსაწყოები და 3D ბეტონის პრინტერები.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები წარმოდგენილია ლარში)

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ენერგოეფექტურობის პრინციპების დამკვიდრებას და გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმიზაციას მშენებლობაში, უფრო და უფრო მეტი ყურადღება ექცევა. ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, მათ შორის კანონმდებლობის კუთხით, რაც სამშენებლო სექტორს ახალი გამოწვევებისა და რეგულაციების წინაშე აყენებს. ამიტომ, გარდა უშუალოდ მშენებლობის პროცესში გამოყენებული მოწინავე ინოვაციური ტექნოლოგიებისა, რაც უმნიშვნელოვანესია დროისა და ფიზიკური შრომის ხარჯების შესამცირებლად, ჯგუფი დიდ ყურადღებას უთმობს შენობების და კონსტრუქციების ენერგოეფექტურობის გაზრდის და გარემოს დაცვითი ღონისძიებების მიმართულებით არსებულ ტენდენციებს.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ჯგუფის შემოსავლები 2024 საანგარიშო წლის მიხედვით შეადგენს 41,239 ათას ლარს, იმავე მაჩვენებელმა 2023 წელს შეადგენდა 27,285 ათასი ლარი. შემოსავლების 51 %-ით ანუ 13 954 ათასი ლარით ზრდა 2023 წელთან შედარებით. შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულმა პირდაპირმა ხარჯებმა 2024 და 2023 წლის დასრულებისათვის შეადგინა 32,393 ათას და 20,117 ათას ლარს, ანუ 61%-ით (12,276 ათასი ლარით) ზრდა 2023 წელთან მიმართებაში. ჯგუფის საერთო მოგების მარჟა და საერთო მოგება სტაბილურია, რის შედეგადაც ჯგუფის საერთო მოგების მარჟა მერყეობს 20% დან 26%-მდე, რომელიც ციფრობრივ გამოხატულებაში შეადგენდა 8,847 ათასი ლარი და 7,168 ათასი ლარი 2024 და 2023 წლების შესაბამისად.

ჯგუფის წმ მოგების მარჟამ შეადგინა 6,902 ათასი ლარი 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებისათვის, აღნიშნული შედეგი ძირითადად განპირობებულია ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებით 2023 წელთან მიმართებაში (შემცირება 2,582 ათასი ლარით), რის გაზრდაც ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად იყო განპირობებული სავაჭრო მოთხოვნებისა და გადახდილი ავანსების გაუფასურების ზარალის ხარჯით.

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

ჯგუფი აცნობიერებს გამართული კორპორაციული მართვის სისტემის მნიშვნელობასა და უპირატესობებს. ჯგუფი დიდი ძალისხმევით ცდილობს შექმნას კორპორაციული მართვის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორებისა და დამატებითი კაპიტალის მოზიდვას, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების ეფექტურობის ამაღლებას, მომავალ აქციონერებსა და მმართველობით ორგანოებს შორის ურთიერთობების ეფექტურობის ამაღლებას, ჯგუფზე ეფექტური ზედამხედველობის განხორციელებას და შიდა კონტროლის ეფექტურობის ამაღლებას, კორპორაციული კონფლიქტების თავიდან აცილებას და მომავალ აქციონერთა უფლებების დაცვას, ჯგუფის ეფექტურ ზრდას და პოზიტიურ იმიჯს ბაზარზე. ამასთან, ძლიერი კორპორაციული მართვის ინსტიტუტის ჩამოყალიბებით, ჯგუფი უზრუნველყოფს კორუფციის დაძლევის და გამჭვირვალე ბიზნესის განვითარებას.

ჯგუფის უმაღლესი მმართველი ორგანო პარტნიორთა საერთო კრებაა (შემდგომში „საერთო კრება“). ჯგუფის დირექტორი (შემდგომში „დირექტორი“), რომელიც პასუხისმგებელია ყოველდღიურ ოპერაციებზე და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აქვს, ინიშნება საერთო კრების მიერ.

ჯგუფის საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ ჯგუფის ფინანსური საქმიანობის და მისი სამომავლო გეგმების განხილვის მიზნით. საერთო კრება შეიძლება დაინიშნოს და ჩატარდეს, როგორც რიგგარეშე კრება, დირექტორის ან პარტნიორის მოთხოვნით. ჯგუფის წესდების შესაბამისად ჯგუფის ყოველდღიური მართვა და წარმომადგენლობა ეკისრება ჯგუფის დირექტორს. დირექტორი ჯგუფის საქმიანობას უძღვება ჯგუფის წესდების დებულებებისა და

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები წარმოდგენილია ლარში)

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით. ჯგუფის კორპორაციული მართვის სისტემა მაქსიმალურად მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სამართლიანობა, ანგარიშვალდებულება, პასუხისმგებლობა და გამჭვირვალობა.

ჯგუფი აღიარებს კორპორაციული მართვის ჯანსაღი პრაქტიკის წარმოების მნიშვნელობას და მხარს უჭერს კორპორაციული მართვის მაღალ სტანდარტებს. ჯგუფის დირექტორი ხელმძღვანელობს ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობას, იძლევა სტრატეგიულ რჩევებს და წარუდგენს შედეგებს და დასკვნებს ჯგუფის პარტნიორებს, აცნობებს ჯგუფის მიზნების შესრულების შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს, მართავს რესურსებს, თანამშრომლების მოზიდვის, დაქირავებისა და შენარჩუნების ჩათვლით, ამზადებს წლიურ ანგარიშებს და ესწრება/წარადგენს საერთო კრებაზე. დირექტორების მოვალეობებში შედის: ჯგუფის დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხის წინასწარ განხილვა, შესაბამისი ინფორმაციის, წინადადებებისა და მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება, ჯგუფის წესების, შინაგანაწესისა და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შედგენა, რომელიც დამტკიცებულია პარტნიორების მიერ მათი შესრულების უზრუნველსაყოფად;

ჯგუფი ცდილობს ხელი შეუწყოს კორპორაციული მართვის საუკეთესო, თანამედროვე პრაქტიკის დამკვიდრებას, მხარს უჭერს ქცევის მაღალ სტანდარტებს თავისი საქმიანობის ყველა ასპექტში. შესაბამისად, ჯგუფი მოქმედებს სამართლიანად მომხმარებლებთან, კონკურენტებთან და მომწოდებლებთან. ჯგუფი ცდილობს დაამყაროს და შეინარჩუნოს გრძელვადიანი და ორმხრივი სარგებლის მომტანი ურთიერთობა თავის მომხმარებლებთან, შექმნას და წახალისოს ნდობის, გამჭვირვალობის, ინოვაციისა და თანმიმდევრულობის გარემო. ჯგუფის მიზანია კორპორაციული მართვის მძლავრი სისტემის დანერგვით უზრუნველყოს ეკონომიკურ, სოციალურ, ინდივიდუალურ და კომუნალურ მიზნებს შორის ბალანსი და მაქსიმალურად დაიცვას ფიზიკური პირების, კორპორაციებისა და საზოგადოების ინტერესები და უფლებები.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფი ცდილობს დანერგოს რისკის მართვის კულტურა საქმიანობის ყველა დონეზე. ჯგუფში სისტემატიურად ხდება ინფორმაციის შეგროვება და მონაცემთა დამუშავება, რათა მოხდეს რისკების იდენტიფიცირება, მართვა, უარყოფითი ეფექტის მინიმიზაცია. პოტენციური რისკები, რომლებიც ჯგუფის საქმიანობაში შეიძლება ჩაითვალოს არსებითად, შემდეგია: სავალუტო რისკი, მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებული პროცედურების გართულების რისკი, დებიტორული დავალიანების ზრდის რისკი, ფორს-მაჟორული მდგომარეობით (მაგ. პანდემიით) გამოწვეული რეგულაციების გამკაცრების რისკი.

სავალუტო რისკი - ჯგუფი ყოველდღიურ საქმიანობაში იყენებს როგორც ფინანსური ინსტიტუტების რესურსს უცხოურ ვალუტაში, ასევე საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდი მოცულობით ახორციელებს უცხოური მასალების იმპორტსა და ადგილობრივ ბაზარზე შეძენას. შესაბამისად, ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ეფექტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედების შემცირების მიზნით, ჯგუფი მიტიგაციის საყოველთაოდ მიღებულ საშუალებებთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო ბაზრების ათვისებას, რაც ჯგუფში უცხოური ვალუტის შემოძინების წყაროა. ასევე, ჯგუფი მაქსიმალურად ცდილობს, ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებას, როგორც მშენებლობის პროცესში, ასევე სამშენებლო მასალების წარმოებაში.

მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებული პროცედურების გართულების რისკი - აღნიშნული საკითხი გამოირჩევა თავისი მნიშვნელობითა და თავისებურებით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მოითხოვს როგორც კონკრეტული სპეციალობის კვალიფიციურ კადრს, ასევე საჭიროებს

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები წარმოდგენილია ლარში)

შესაბამის სამთავრობო უწყებებთან კომუნიკაციის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ადმინისტრაციული წარმოების პრაქტიკის და გამოცდილების არსებობას. ჯგუფში დიდი ყურადღება ექცევა, როგორც ზემოაღნიშნულ სფეროში გამოცდილი, ასევე ახალგაზრდა, ენთუზიაზმით სავსე კადრების დასაქმებას. ჯგუფი ზრუნავს ისეთი გარემოს შექმნაზე, რაც უზრუნველყოფს როგორც კადრების კვალიფიკაციის დონის ამაღლებას, საკანონმდებლო სიახლეების ოპერატიულ რეჟიმში გაცნობასა და დამუშავებას, ისე განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლას და სამომავლო ტენდენციებზე გათვლას. აღნიშნული მიდგომა იძლევა საშუალებას ოპერატიულად მოხდეს სახელმწიფო უწყებებთან სანებართვო საკითხებთან დაკავშირებული პროცედურების გავლა და პროექტის რენტაბელობის გაანგარიშებისათვის საჭირო ღონისძიებების დაწყება.

დებიტორული დავალიანების ზრდის რისკი - ჯგუფის დებიტორებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები, რომლებიც იძენენ ჯგუფის მიერ აშენებულ/მშენებარე ფართებს და დამკვეთი იურიდიული პირები, რომლებიც სარგებლობენ ჩვენი ჯგუფის სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურებით. ჯგუფში ფუნქციონირებს სპეციალური სამსახური, რომელიც აკონტროლებს ფიზიკური პირების მიერ თანხების დაფარვის პროცესს (გრაფიკს). ნასყიდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს ისეთ პირობებს, რომელიც მაქსიმალურად არის მორგებული მყიდველის შესაძლებლობებზე, თუმცა იგი ასევე მოიცავს ისეთ პირობებსაც, რომელიც მაქსიმალურად აზღვევს მყიდველის მიერ სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობით გამოწვეულ რისკს.

რაც შეეხება იურიდიულ პირებს, რომლებიც სარგებლობენ ჯგუფის სამშენებლო მომსახურებით, ამ შემთხვევაშიც ჯგუფი ურთიერთობას არეგულირებს საწყის ეტაპზევე გამართული სამართლებრივი დოკუმენტებით, ხელშეკრულებებით, რომლებიც ითვალისწინებენ ისეთ სამართლებრივ ბერკეტებსა და მექანიზმებს (მაგ. გადახდის საავანსო სისტემას, საბანკო გარანტიას), რაც უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს ღირებულების გადაუხდელობის რისკის მინიმიზაციას.

ფორს-მაჟორული მდგომარეობით (მ. შ. პანდემიით) გამოწვეული რეგულაციების გამკაცრების რისკი - 2020 წელს ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ დაგვანახა, რომ რისკებს შორის, რომლებიც საყოველთაოდ არის აღიარებული, არანაკლებ მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც საფრთხეს შეუქმნის არა მხოლოდ მშენებლობის სფეროს განვითარებას, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, არის ის რეგულაციები და შეზღუდვები, რაც შესაძლოა პანდემიის პროცესის სამართავად იქნეს გამოყენებული. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩვენი ქვეყნის შესაბამისი უწყებების მიდგომა, რომლის თანახმადაც, მიუხედავად ეკონომიკის მთელი რიგი დარგების ფუნქციონირების შეზღუდვისა, სამშენებლო სექტორს აღნიშნული შეზღუდვები მინიმალურად შეეხო. სახელმწიფო კარგად აცნობიერებს სამშენებლო დარგის სტრატეგიულ მნიშვნელობას და ფორს-მაჟორის პირობებში ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს დარგის სტიმულირებისათვის, რომელთა შორისაც აღსანიშნავია იპოთეკური სესხების სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამა. ამასთან, თავის მხრივ, ჯგუფი აქტიურად ნერგავს და ახორციელებს სანიტარულ-ჰიგიენურ პროცედურებს, როგორც ოფისებში, ასევე სამშენებლო ობიექტებზე და საჭიროების შემთხვევაში, კვლავაც ზედმიწევნით დაიცავს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ რეგულაციებს, რაც მინიმუმამდე შეამცირებს თანამშრომლებსა თუ მომხმარებლებში ვირუსით ინფიცირების რისკს. ამდენად, ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული და კიდევ სხვა ღონისძიებების ერთობლიობა, მინიმუმამდე დაიყვანს ფორს-მაჟორით გამოწვეულ მავნე ზემოქმედებას სამშენებლო სექტორზე.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები წარმოდგენილია ლარში)

რისკის მართვა

საერთო კრება და აღმასრულებელი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვაზე და შიდა კონტროლზე. ვცდილობთ დავწეროთ რისკების ეფექტური და ძლიერი მართვის სისტემები ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. ჯგუფი ცდილობს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს რისკების მინიმალურ დონემდე შემცირებას. ჩვენ ვიყენებთ შიდა კონტროლის ისეთ პროცესებს, რომლებიც მიზნად ისახავს მაქსიმალური შედეგის მიღწევას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით როგორცაა:

- ოპერაციების ეფექტურობა და ეფექტიანობა;
- ჯგუფის აქტივებისა და მონაცემების დაცვა;
- ფინანსური და სხვა ანგარიშგებების სანდოობა;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების გამოვლენა და პრევენცია;
- რისკების მხედველობაში მიღება და მათი მართვა;
- ჯგუფის მიერ შემოღებული პრაქტიკისა და ეთიკური ნორმების შესაბამისობა კოდექსთან;
- ჯგუფის საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობასთან;
- ბიზნესის მდგრადობის მხარდაჭერა უსაფრთხო პირობებში.

მოცემულ ეტაპზე შიდა კონტროლის პროცესების მართვა ხდება ჯგუფის ცალკეული სტრუქტურული ერთეულის შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ჩართულობით. ჯგუფის თითოეულ რგოლში კვალიფიციური კადრის დასაქმებით, ჩვენ ვცდილობთ სამეურნეო საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით აუცილებელი მონაცემების დამუშავებას და სტრუქტურულ ერთეულებს შორის ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლას. აღნიშნულ პროცესში ჯგუფი ინტენსურად იყენებს და ნერგავს სხვადასხვა ტექნოლოგიებსა და პროგრამულ საშუალებებს. ჯგუფის საქმიანობის შეფასება და ანალიზი ხდება ყოველთვიურად, რისთვისაც შესაბამისი სპეციალისტების მიერ ხდება სპეციალური გაანგარიშებების შედგენა. წარმოდგენილი გაანგარიშებების განხილვა ხდება ფინანსური დირექტორისა და გენერალური დირექტორის მიერ, რომელიც ღებულობს შესაბამის მმართველობით გადაწყვეტილებებს. ჯგუფი კვლავაც მუშაობს შიდა აუდიტის განყოფილების შექმნის მიმართულებით, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ჯგუფის ოპერაციების, საქმიანობის, სისტემებისა და პროცესების რეგულარულ მონიტორინგსა და აუდიტზე, რათა უზრუნველყოს გონივრული, დამოუკიდებელი და ობიექტური რწმუნება და საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც შექმნილია ჯგუფის ოპერაციებისთვის ღირებულების დამატებისა და გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული განყოფილება მაქსიმალურად დამოუკიდებელი იქნება აღმასრულებელი ხელმძღვანელობისაგან და იგი ანგარიშვალდებული იქნება ჯგუფის საეთო კრების მიმართ.

3. არაფინანსური ანგარიშგება

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

ჯგუფი მისი საქმიანობის სპეციფიკის მიუხედავად, მაქსიმალურად ცდილობს არათუ მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოზე მავნე ზემოქმედებით მიღებული შედეგები, არამედ პირიქით, თითოეული პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გარემოს დაცვის და გაუმჯობესების კუთხით გასაწევი სამუშაოების შესრულებას. თითოეული პროექტის მიმდინარეობისას ჯგუფი დიდ ყურადღებას უთმობს ისეთი საკითხების მოგვარებას, როგორებიცაა:

- გარემოს დაბინძურების პრევენცია და კონტროლი;
- ენერგიის მოხმარებით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე;
- პირდაპირი და არაპირდაპირი ემისიები ატმოსფეროში;
- ბუნებრივი რესურსების გამოყენება და დაცვა;
- ნარჩენების მართვა;

ჯგუფი საქმიანობის პროცესს გეგმავს იმდაგვარად, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს გარემოს დაბინძურების პრევენცია და კონტროლი. თითოეულ პროექტზე ჯგუფი გამოყოფს შესაბამის რესურსს, რათა შემუშავდეს არა მხოლოდ გარემოს დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების გეგმა, რომლის დაცვაც პროექტის მიმდინარეობისას უზრუნველყოფს გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმიზაციას, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციას, ნარჩენების მართვას, არამედ ადგენს და ახორციელებს დენდროლოგიურ პროექტებს. ჯგუფი გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების ოპტიმიზაციას უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების ჩართულობით და ასევე, ჯგუფის საკუთრებაში არსებული თანამედროვე სამშენებლო ტექნიკით, რომელიც თავის მხრივ ახდენს გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმიზაციას და ენერგიის (ენერგომატარებლების) მოხმარების ეკონომიას. ჯგუფი იყენებს მოწინავე ტექნოლოგიებს და თანამედროვე მასალებს, რაც უზრუნველყოფს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების ეფექტურად გადაწყვეტას.

სოციალური და დასაქმების საკითხები

ჯგუფი ცდილობს ყოველდღიურ საქმიანობაში დანერგოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული კონვენციების ძირითადი პრინციპები. არსებობს მოსაზრებები, რომ შრომის საერთაშორისო ნორმები დაკავშირებულია მნიშვნელოვან დანახარჯებთან, რაც თითქოსდა იწვევს ეკონომიკური განვითარების შეფერხებას. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო კვლევების სულ უფრო მზარდი რაოდენობა მიუთითებს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც შრომის საერთაშორისო ნორმების დაცვის ფონზე უმჯობესდება პროდუქტიულობა და ეკონომიკური მაჩვენებლები. ჯგუფი აცნობიერებს, რომ შრომის ანაზღაურებისა და სამუშაო დროის უფრო მაღალი სტანდარტებითა და თანასწორუფლებიანობის პატივისცემით შესაძლებელია მივიღოთ უკეთესი კვალიფიკაციის მქონე და საკუთარი სამუშაოთი უფრო მეტად კმაყოფილი კადრები და მათი ნაკლები დენადობა.

ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამშენებლო სფეროში შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების დაცვას. ჩვენ სისტემატიურად ვატარებთ პროფილაქტიკურ და დაცვით ღონისძიებებს, რომლებიც ეხება სამუშაო ადგილების, მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის გამოყენების, სიმაღლეზე შესრულებული სამუშაოების უსაფრთხოებას. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვცდილობთ პროფესიულ განათლებაში ინვესტირებით, უსაფრთხოების და ჰიგიენის მაღალი სტანდარტების დაცვით, ჯგუფში შევქმნათ კვალიფიციური კადრების დასაქმებისათვის მაქსიმალურად მიმზიდველი გარემო.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები წარმოდგენილია ლარში)

ჯგუფი დიდ ყურადღებას უთმობს სამშენებლო ობიექტებზე დასაქმებული პერსონალის ყველა სავალდებულო პერსონალური დამცავი აქსესუარით აღჭურვას და სათანადო ტრენინგებით უზრუნველყოფას. საქმიანობის პროცესში, პასუხისმგებელი პირის მიერ, მკაცრად კონტროლდება პერსონალის მიერ დამცავი აქსესუარების - მყარი ქუდების, უსაფრთხოების სათვალეების, ხელთათმანების, გამძლე ფეხსაცმლის, სმენის დამცავი მოწყობილობების, რესპირატორების, ტანის კოსტუმების გამოყენება. აქსესუარების სია მოწმდება რეგულარულად და იცვლება სამუშაოს სპეციფიკის შესაბამისად.

ჯგუფი აცნობიერებს, რომ პერსონალის ტრენინგებით უზრუნველყოფა უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია მშენებლობის პროცესში. ტრენინგს უძღვება უსაფრთხოების კვალიფიციური პროფესიონალი. დასაქმებულებს აცნობებენ სამშენებლო ობიექტზე არსებული პოტენციური საფრთხის შესახებ, ასწავლიან დამოუკიდებლად როგორ მოახერხონ ამ საფრთხის იდენტიფიცირება და თავიდან აცილება. ტრენინგები ასევე მოიცავს დასაქმებულთა ინფორმირებას აღჭურვილობისა და ტექნიკის სათანადო გამოყენების, ასევე გადაუდებელი პროცედურების შესახებ.

ჯგუფი ინტენსიურად მუშაობს უსაფრთხოების ნორმების სრულყოფაზე. ამასთან, ჯგუფი ამკვიდრებს უსაფრთხოების კულტურას, რაც ნიშნავს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც უსაფრთხოება უმთავრესი პრიორიტეტია და დასაქმებულები მოტივირებულები არიან, შეატყობინონ ნებისმიერი პოტენციური საფრთხის არსებობა.

გ. ბალაძე

დირექტორი

შპს „გუმბათი ჯგუფი“

19 ნოემბერი 2025 წელი

შპს გუმბათი ჯგუფი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „გუმბათი ჯგუფი“-ს („საწარმო“) და მისი შვილობილი საწარმოს (ერთად „შემდგომში - ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე ჯგუფის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:


- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ამავეთი ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 19 ნოემბრის.


გიორგი ბალაძე
დირექტორი
2025 წლის 19 ნოემბერი

საქართველო, თბილისი

შპს გუმბათი ჯგუფი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	7	41,239,118	27,285,209
რეალიზაციის თვითღირებულება	8	(32,392,519)	(20,116,929)
საერთო მოგება		8,846,599	7,168,280
მიწოდების ხარჯები	10	(244,298)	(288,112)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(2,626,053)	(5,208,305)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუთროს სხვაობიდან	11	(359,959)	(410,569)
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	23	(884,753)	(434,334)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	12	2,367,589	(25,317)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადებამდე		7,099,125	801,643
მოგების გადასახადის ხარჯი	13	(197,032)	(248,226)
პერიოდის მოგება/(ზარალი)		6,902,093	553,417
სხვა სრული შემოსავალი /(ხარჯი)		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		6,902,093	553,417
პერიოდის მოგება/(ზარალი) განეკუთვნება:			
საწარმოს მფლობელებს		6,941,652	554,797
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		(39,559)	(1,380)
პერიოდის მოგება/(ზარალი)		6,902,093	553,417

eSigned by:
გიორგი ბალაძე: eda4b309-0cda-4146-b79a-ad....

დადასტურებული და ხელმოწერილია 2025 წლის 19 ნოემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ბალაძე

Certified by Signify

დირექტორი - გიორგი ბალაძე

შენიშვნები 9-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გუმბათი ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023*	31 დეკემბერი 2022*
ძირითადი საშუალებები	14	8,162,543	8,292,074	5,586,565
გუდვილი	6	3,233,340	3,233,340	3,233,340
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში	15	5,337,900	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,733,783	11,525,414	8,819,905
მარაგები	16	10,266,355	10,993,912	9,636,694
საგადასახადო აქტივი, წმინდა	19	759,114	380,167	680,733
გაცემული სესხები		2,674,120	154,000	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	5,934,746	1,407,242	2,462,575
გადახდილი ავანსები	17	6,159,633	2,875,936	1,191,614
ფული და ფულადი ეკვივალენტები	20	91,810	283,973	393,864
სულ მიმდინარე აქტივები		25,885,778	16,095,230	14,365,480
სულ აქტივები		42,619,561	27,620,644	23,185,385
საწესდებო კაპიტალი	21	150,000	916,373	540,261
გაუნაწილებელი მოგება		14,973,775	9,138,208	9,988,472
არამაკონტროლებელი წილი		(11,183)	1,138,376	1,139,756
სულ კაპიტალი		15,112,592	11,192,957	11,668,489
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	23	9,053,798	2,241,638	5,271,376
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,053,798	2,241,638	5,271,376
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები'	23	694,428	1,447,570	490,377
საიჯარო ვალდებულება		41,477	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24	2,419,426	1,943,446	1,286,971
საკონტრაქტო ვალდებულება	22	15,297,840	10,795,033	4,468,172
სულ მიმდინარე ვალდებულებები		18,453,171	14,186,049	6,245,520
სულ ვალდებულებები		27,506,969	16,427,687	11,516,896
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		42,619,561	27,620,644	23,185,385

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

eSigned by: გიორგი ბალაძე: e1e19d71-f72f-4569-a6e2-4c18...

დადასტურებული და ხელმოწერილია 2025 წლის 19 ნოემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ბალაძე
Certified by Signify

დირექტორი - გიორგი ბალაძე

შენიშვნები 9-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გუმბათი ჯგუფი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2023	540,261	9,988,472	1,139,756	11,668,489
კაპიტალის ზრდა	1,028,837	-	-	1,028,837
კაპიტალის შემცირება	(652,725)	-	-	(652,725)
დივიდენდის გადახდა	-	(1,405,061)	-	(1,405,061)
პერიოდის მოგება (ზარალი)	-	554,797	(1,380)	553,417
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	916,373	9,138,208	1,138,376	11,192,957
კაპიტალის ზრდა	193,500	-	-	193,500
კაპიტალის შემცირება	(959,873)	-	(1,110,000)	(2,069,873)
დივიდენდის გადახდა	-	(1,106,085)	-	(1,106,085)
პერიოდის მოგება (ზარალი)	-	6,941,652	(39,559)	6,902,093
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	150,000	14,973,775	(11,183)	15,112,592

eSigned by:
გიორგი ბალაძე: 33eb7e2e-7d9a-4d2b-bcff-efe6....

დადსტურებული და ხელმოწერილია 2025 წლის 19 ნოემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

Certified by Signify

დირექტორი - გიორგი ბალაძე

შენიშვნები 9-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გუმბათი ჯგუფი

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		48,681,529	36,157,028
მოწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(38,026,009)	(29,345,313)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(3,054,411)	(1,860,403)
ადმინისტრაციული და სხვა გაწეული ხარჯები		(99,647)	(28,959)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		7,501,462	4,922,353
გადახდილი პროცენტი		(885,667)	(443,588)
მიღებული პროცენტი		918	9,254
გადახდილი გადასახადები		(1,533,712)	(1,120,677)
საოპერაციო საქმიანობაში გახარჯული წმინდა ფულადი სახსრები		5,083,001	3,367,342
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
სესხის გაცემა		(2,557,209)	(94,000)
გაცემული სესხის დაბრუნება		39,993	-
ინვესტიციები ერთობლივ/ასოცირებულ საწარმოში	15	(5,337,900)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(7,855,116)	(94,000)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხები არაფინანსური ინსტიტუტებისგან		50,900	620,595
მიღებული სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან		11,068,000	-
არაფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების გადახდა		(50,000)	-
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების გადახდა		(5,526,261)	(3,002,937)
შენატანი საწესდებო კაპიტალში	21	193,500	1,028,837
გადახდილი დივიდენდები		(1,050,781)	(1,334,808)
საწესდებო კაპიტალის შემცირება არამაკონტროლებელი მფლობელების მიერ		(1,110,000)	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	21	(959,873)	(652,725)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		2,615,485	(3,341,038)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების (შემცირება)/ზრდა		(156,630)	(67,696)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	20	283,973	393,864
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		(35,533)	(42,195)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		91,810	283,973

დადასტურებული და ხელმოწერილია 2025 წლის 19 ნოემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

eSigned by:
გიორგი ბალაძე: 156903d7-9c8f-47c2-882f-bb7....
Certified by Signify

დირექტორი - გიორგი ბალაძე

შენიშვნები 9-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გუმბათი ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები წარმოდგენილია ლარში)

ჯგუფი დიდ ყურადღებას უთმობს სამშენებლო ობიექტებზე დასაქმებული პერსონალის ყველა სავალდებულო პერსონალური დამცავი აქსესუარით აღჭურვას და სათანადო ტრენინგებით უზრუნველყოფას. საქმიანობის პროცესში, პასუხისმგებელი პირის მიერ, მკაცრად კონტროლდება პერსონალის მიერ დამცავი აქსესუარების - მყარი ქუდების, უსაფრთხოების სათვალეების, ხელთათმანების, გამძლე ფეხსაცმლის, სმენის დამცავი მოწყობილობების, რესპირატორების, ტანის კოსტუმების გამოყენება. აქსესუარების სია მოწმდება რეგულარულად და იცვლება სამუშაოს სპეციფიკის შესაბამისად.

ჯგუფი აცნობიერებს, რომ პერსონალის ტრენინგებით უზრუნველყოფა უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია მშენებლობის პროცესში. ტრენინგს უძღვება უსაფრთხოების კვალიფიციური პროფესიონალი. დასაქმებულებს აცნობებენ სამშენებლო ობიექტზე არსებული პოტენციური საფრთხის შესახებ, ასწავლიან დამოუკიდებლად როგორ მოახერხონ ამ საფრთხის იდენტიფიცირება და თავიდან აცილება. ტრენინგები ასევე მოიცავს დასაქმებულთა ინფორმირებას აღჭურვილობისა და ტექნიკის სათანადო გამოყენების, ასევე გადაუდებელი პროცედურების შესახებ.

ჯგუფი ინტენსიურად მუშაობს უსაფრთხოების ნორმების სრულყოფაზე. ამასთან, ჯგუფი ამკვიდრებს უსაფრთხოების კულტურას, რაც ნიშნავს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც უსაფრთხოება უმთავრესი პრიორიტეტია და დასაქმებულები მოტივირებულები არიან, შეატყობინონ ნებისმიერი პოტენციური საფრთხის არსებობა.

eSigned by:
გიორგი ბალაძე: 14f590c1-9953-496d-a09e-ed8....

Certified by: Signify

გ. ბალაძე
დირექტორი

შპს „გუმბათი ჯგუფი“
19 ნოემბერი 2025 წელი